ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ

მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლი

ხარაგაული, სოლომონ მეფის ქ. №16 ტელ: 0433221869 593575305
ს/კ 243573370

№ 9 13 მარტი 2024 წ

ხარაგაულის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი არის სკოლისგარეშე სასწავლო დაწესებულება, რომელიც ეხმარება ბავშვებს თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებაში; მოსწავლეთა სახლი აქტიურად თამამშრომლობს მუნიციპალიტეტის სკოლებთან, აცხადებს სხვადასხვა კონკურსებს და ატარებს საქმიან და კულტურულ ღონისძიებებს, ხელს უწყობს მოსწავლეებისათვის თავისუფალი დროის სწორ ორგანიზებას და მოზარდთა ინტერესების ყოველმხრივ განვითარებას.უქმნის მოსწავლეებს თავისუფალი დროის ნაყოფიერად გამოყენებისთვის შესაფერის გარემოს.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი 2023 წელს ფუნქციონირებას შუდგა 12 დასახელების წრით და მუსიკალური სტუდიით: საესტრადო სიმღერის წრე, ხალხური სიმღერის წრე სოფ. ლეღვანში,სოფელ მარელისში და სოფელ ბორში. კინომოყვარულთა წრე, საეკლესიო საგალობლების შემსწავლელი წრე, ნორჩ-მათემატიკოსთა წრე, მხარეთმცოდნეობის შემსწავლელი წრე, ხელგარჯილობის წრე, ინგლისური ენის შემსწავლელი წრე, ხატვის წრე, მაკრამეს წრე, სპეც. საჭიროების ჯგუფი, საბავშვო თეატრი, ხეზე კვეთის წრე სოფ. მარელისში, მუსიკალური სტუდია ხარაგაულსა და სოფელ ვერტყვიჭალაში . ბავშვებისათვის ყველა წრე უფასო არის გარდა მუსიკალური სტუდიისა, რომელიც ნაწილობრივ ფინანსდება მშობელთა შემონატანით, რაც შეეხება სოციალურად დაუცველ სტუდიის მოსწავლეებს მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით გათავისუფლებულები არიან გადასახადისაგან.

მოსწავლეთა რაოდენობა სახელობითი სიით შეადგენს 240 ბავშვს, ისინი გაერთიანებული არიან წრეებში თავიანთი შესაძლებლობების მიხედვით, ზოგიერთი ბავშვი 2-3 წრეშია გაერთიანებული. წრეებში ჩაბმული არიან როგორც დაბის ასევე სოფლის მოსწავლეები, კერძოდ; მარელისის, მოლითის, საღანძილის, ლეღვნის, ბორითის, ვერტყვიჭალის, კიცხის ზონის და ზვარეს სკოლებიდან.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი 2023 წელს მუშაობას შეუდგა 25 საშტატო ერთეულით .

2023 წლის ბიუჯეტის გეგმა შეადგენდა 215000 ლარს, აქედან გაიხარჯა 208621 ლარი, ხოლო 156 ლარი საკუთარი შემოსავლებიდან იქნა გახარჯული. მთლიანად 2023 წლის განმავლობაში გაიხარჯა 208777 ლარი.

2023 წელს შრომის ანაზღაურებაში დაიხარჯა 187181 ლარი.

საქონელი და მომსახურეობაში 16906 ლარი; (16750 ლარი ბიუჯეტის დაფინანსება, 156 ლარი საკუთარი შემოსავალი) .
არაფინანსურ აქტივებში 4690 ლარი.

საქონელ და მომსახურეობიდან:

მივლინება 226 ლარი

საკანცელარიო ნივთებში გაიხარჯა 838 ლარი. (საკანცელარიო ნივთები შეძენილი იქნა, როგორც მოსწავლეთა სახლის ადმინისტრაციისათვის, ასევე შეძენილი იქნა ბავშვებისათვის სხვადასხვა სახის რესურსები)

მცირეფასიანი ტექნიკის შეძენა დამონტაჟების ხარჯმა შეადგინა 597 ლარი. (შეძენილია 3 ცალი კვების წყარო).

საოფიოსე ინვენტარის შეძენაში სულ 3000 ლარი. (შეძენილია მაგიდები)

ოფისისსათვის სანიტარულ -ჰიგიენურ მასალებში 390 ლარი, აქედან 234 ლარი საბიუჯეტო სახსრებიდან გაიხარჯა, 156 ლარი საკუთარი შემოსავლიდან.

კავშირგაბმულობის ხარჯი 822 ლარი. (ინტერნეტმომსახურეობა)

კომუნალურ გადასახადებში 3218 ლარი, (ელ.ენერგიის, წყლის, ბუნებრივი აირის და დასუფთავების მოსაკრებელის ხარჯი)

ოფისის ხარჯი რომელიც არა არის კლასიფიცირებული 660 ლარი. (მაგნიტური დაფები)

კვების ხარჯში-4583 ლარი, საზაფხულო ბანაკისათვის ბავშვების კვების და საახალწლოდ ტკბილეულის შესაძენად.

ტრანსპორტის ხარჯი- 170 ლარი.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობაში 2402. (შეძენილი იქნა საახალწლო ნაძვის ხე, სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებული ბავშვებისათვის საჩუქრები, ელექტრონული შტემპი, ცეცხლმაქრი .

არაფინანსურ აქტივებში -4690 ლარი,
შეიცვალა 5 კაბინეტის კარები 2800 ლარი
შეძენილი იქნა კომპიუტერი- 1890 ლარი

2024 წლის ბიუჯეტი შეადგენს 228 000 ლარს, აქედან; შრომის ანაზრაურება განისაზღვარა 217571 ლარით, ხოლო საქონელი და მომსახურეობა 8324 ლარით, სოციალური დახმარება 2105 ლარით. საკუთარი შემოსავალი დღეის მდგომარეობით შეადგენს 708 ლარს, რაც მთლიანად გახარჯული იქნება საქონელი და მომსახურეობაში.

2023 წლის განმავლობაში ჩატარდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

. „ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი“ ტარდება ყოველ თვეში და მონაწილეობენ სხვადასხვა სკოლის მეექვსე კლასელები.

. წიგნის კითხვის კლუბი- ტარდება ყოველ თვეში და მართავს სხვადსხვა წიგნების განხილვას.

. “მელომანი“ -მუსიკალური შეჯიბრი ტარდება ყოველ თვეში და მოწვეული არიან სხვადსხვა ასაკის მოსწავლეები.

. „მარტივი ლოგიკა“ სააზროვნო თამაში ტარდება ყოველ თვეში და მონაწილეობენ სხვადსახვა წრის მოსწავლეები.

. ლექცია-დისკუსია დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის შესახებ. მოწვეული პედაგოგები ზეინაბ ბუაჩიძე, მარინა მაღრაძე. „დავითობა“

. ჩაის და ყავის საღამო. თებერვალი

. ვიდეოკონკურსი თემაზე „სიცოცხლის საწყისი“. მონაწილეობენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეები.

. დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. „საგალობელი დედებს“

. „ხსოვნის საღამო“ 9 აპრილი.

. ინტელექტუალური თამაში „ერუდიტი“- ჩატარდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლაში. აპრილი

. ფოტო კონკურსი თემაზე „გაზაფხული ხარაგაულში“ -18 აპრილიდან -4 მაისამდე.

. ხატვის კონკურსი. ხარაგაულის კულტურისა და დასვენების პარკში. მონაწილეობდა 24 სკოლის 47 მოსწავლე. -4 მაისი.

. ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი კინოთეატრში. 1 ივნისი

. 12 ივნისს ჩატარდა გასვლითი კონცერტი სოფელ ზვარეს საჯარო სკოლაში.

. 10 ივლისიდან 15 ივლისამდე 5 დღით მოეწყო საზაფხულო დღის ბანაკი სადაც მონაწილეობდა 40 ბავშვი. ბანაკის დღეები დატვირთული იყო სხვადასხვა აქტრივობებით.

. მასწავლებლის დღის აღნიშვნა. – 5 ოქტომბერი.

. საერთაშორისო კინო ფესტივალი „თბილისური აისი“- სადაც მონაწილეობდა მოსწავლეთა სახლის მიერ შექმნილი ფილმი „ცისკრის ვარსკვლავი“, დაიმსახურა ჯილდო ნომინაციაში „ყველაზე სენტიმენტალური“ -22 ოქტომბერი.

. „შემოდგომის ფერები“. – ლიტერატურული თეატრი და გალობის წრე, 2 ნოემბერი.

. მონაწილეობა „ხარაგაულობა 2023“ -გამოფენა და საესტრადო სიმღერის წრის მოსწავლეები.

. ჩატარდა შეხვედრა თემაზე "სეზონურივირუსები" ხარაგაულის ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომლებთან. 15 ნოემბერი

. წლის ბოლოს კინოთეტრში ჩატარდა საახალწლო კონცერტი და მოსწავლეებს დაურიგდათ საახალწლო საჩუქრები.

. წლის განმავლობაში მონაწილეობას ვღებულობდით კულტურის სამსახურის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში.

2024 წელს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი შეხვდა ახალი იდეებით და პროექტებით.

- ჩატარდა თამაში „გამოიცანი მოქალაქე“ ერთი სეზონი და ფინალი, სადაც ჩართულნი არიან ხარაგაულელი მოსწავლე-ახალგაზრდები.

- მოსწავლეთა სახლში მოწვეული იყვნენ ქუთაისის სამაგიდო თამაშების კლუბის წევრები, რომლებმაც ბავშვებს გააცვნეს ახალი სტრატეგიული და განმავითარებელი თამაშები.

- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში იანვარში და თებერვალში ჩატარდა პროექტები

„ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი“,

„მარტივი ლოგიკა“

, „მელომანი“

- ხალხური სიმღერებისა და საკრავების საღამო - 30 იანვარი.

- აღინიშნა წიგნის კითხვის საერთაშორისო დღე- 7 თებერვალი.

- 90-იანი წლების გახსენება ჭიქა ჩაისთან - 29 თებერვალი.

- დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძება - 4 მარტი.

გარდა აღნიშნული ღონისძიებებისა მოსწავლეთა სახლში ყოველდღიურად ტარდება გაკვეთილები სხვადასხვა წრეებში და მოსწავლეები თავისუფალ დროს იყენებენ ნაყოფიერად.

.ასევე მინდა გითხრათ რომ მოსწავლეთა სახლი 2023 წელს ჩაერთო და მონაწილეობას ღებულობს მშვიდობის კორპუსის მიერ გამოცხადებული მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამაში და ემზადება მოხალისის მისაღებად. მშვიდობის კორპუსის მიერ განხორციელდა მოსწავლეთა სახლში ვიზიტი და გადასული ვართ ფინალურ ეტაპზე, კონკურსი დასრულდება 2024 წლის ზაფხულზე და 2024 წლის სექტემბრიდან მიიღებს უცხოელ მოხალისეს, რომელიც დაგვეხმარება ორგანიზაციული მიზნებისა და სტრატეგიების განვითარებაში, პროგრამების და პროექტების განხორციელებაში, ახალი პროექტების შემუშავებაში არაფორმალური აქტივობების დაგეგმვაში. ასევე მონაწილეობას მივიღებთ მშვიდობის კორპუსის მიერ გამოცხადებულ საგრატო კონკურსში.

ჩვენი სურვილია მიმდინარე წელს ბავშვებს შევთავაზოთ რაც შეიძლება მეტი ისეთი ღონისძიება, რომლებიც მათთვის საინტერესო და განმავითარებელი იქნება.

მაგალითად ბავშვების დაინტერესებას ვგეგმავთ სხვადასხვა სამაგიდო თამაშებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ამა თუ იმ საგნის თამაშით სწავლებას. აქვე მინდა დავამატო რომ 2023 წელს შეძენილი იქნა მაგნიტური დაფები, სასწავლო მაგიდები, კვების წყარო, კაბინეტებზე შეიცვალა კარები, შეძენილი იქნა კომპიუტერი. ასევე წლის ბოლოს გაზრდილი იქნა პედაგოგების და ადმინისტრაცია-ტექნიკური პერსონალის ხელფასები; მიმდინარე წელს შეძენილი იქნება 6 ცალი ფანდური(ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია) რომელიც გადაუნაწილდება ლეღვანის, მარელისის და ბორის ხალხური საკრავების ჯგუფებს.
ყოველივე ამისათვის დიდ მადლობას გიხდით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს მხარდაჭერისათვის და დარწმუნებული ვართ მომავალშიც თქვენი დახმარებით აღმოვფხვრით ისეთ პრობლემებს როგორიცაა შიდა კოსმეტიკური რემონტი, (იატაკი, კედლები, ელექტროობა და სხვა) პროექტორის ეკრანი, სამუშაო კომპიუტერები, პიანინო და სხვა ინვენტარი. აღნიშნული პრობლემების მოგვარება გაუმჯობესებს სწავლის ხარისხს და ბავშვებისათვის შექმნის საინტერესო გარემოს არაფორმალური განათლების მისაღებად
დიდი მადლობა ყურადღებისათვის

პატივისცემით ა(ა)იპ ხარაგაულის მოსწავლე-ახალგაზრდობის

სახლის დირექტორი ჰამლეტი ბერაძე

დირექტორი: /ჰ.ბერაძე/

ბავშვთა-ახალგაზრდობის სასახლე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, საქართველო
PALACE OF PUPIL-YOUTH OF KHARAGAULI MUNICIPALITY, GEORGIA
24357370